CAPAROL

# LANGZEITLASUR

## ხის რეცხვადი საღებავი კაპაროლისგან








დილაითი

დაგეგმარებიდან - სრულ განათებამდე

ალ. ყაზბეგის გამზ. № 25 032 2 30 40 50

showroom@delight.ge www.delight.ge

AAG

Association of Architects of Georgia

საქართველოს არქიტექტორთა ასოციაცია

www.archias.ge

გამომცემელი - საქართველოს არქიტექტორთა ასოციაცია და დიმიტრი მოსულიშვილი

მთავარი რედაქტორი - ნინო ლაღიძე

ინფორმაცია - ნინო ლაღიძე, დიმიტრი გელოვანი.

თარგმანი - ნატა ქურთანიძე

კომპიუტერული დიზაინი - ირმა ჯიშკარიანი

გარე რეკლამა - შ.პ.ს. სტილი

**PUBLISHER - ASSOCIATION OF ARCHITECTS OF GEORGIA** and Dimitri Mosulishvili

**CHIEF EDITOR -** Nino Laghidze

**INFORMATION -** Nino Laghidze, Dimitri Gelovani.

**TRANSLATION -** Nata Kurtanidze

**COMPUTER GRAPHIC -** Irma Jishkariani

**OUTDOOR ADVERTISEMENT** – STYLE Ltd.

0171 თბილისი, ბერბუკის ქ. N3
მობ: 593 42-74-73; 599 10-56-03; 599 12 24 26

3 Berbuki str., 0171 Tbilisi, Georgia
Mob: (+995) 593 42-74-73; (+995) 599 10-56-03; (+995) 599 12-24-26
http://www.archias.ge
http://www.archiaward.com
E-mail: laghidze.n@gmail.com

სარეკლამო ტექსტის შინაარსზე
რედაქცია პასუხს არ აგებს

## არქიტექტორებისა და დიზაინერების საყურადღებოდ!

საქართველოს არქიტექტორთა ასოციაცია და ჟურნალი "სტილი" აგრძელებს თქვენთან თანამშრომლობას.

გთხოვთ, მოგვაწოდოთ თქვენს მიერ რეალიზებული არქიტექტურულ-დიზაინერული პროექტები. მათ შორის საუკეთესოები განთავსებული იქნება ჟურნალი "სტილის" მომდევნო ნომრებში, რისთვისაც წინასწარ გიხდით მადლობას.

ჟურნალის რედაქცია იტოვებს უფლებას გაცნობოთ მასალის მომზადებისა და პუბლიკაციისათვის აუცილებელი პირობა - ჟურნალში გამოსაქვეყნებელი ობიექტი წარმოდგენილი იქნას მისი ამსახველი ფოტო-მასალის მაღალმხატვრული ხარისხით - ავტორმა უზრუნველყოს ობიექტის პროფესიული ფოტოგადაღება.

დაზუსტდეს თანაავტორთა ვინაობა!





# GROHE Rainshower – ის კოლექციის ინტელექტუალური ფუნქციები

• ახალი თაობის GROHE Rainshower 310 Mono shower head საშხაპეები თანამედროვე სააბაზანოებისთვის

• იდეალური კომბინაცია GROHE Rainshower 310 SmartConnect - თან ერთად

• GROHE Rainshower 310-ის დიზაინის სხვადასხვა ვარიანტები

მაშინ როდესაც ზოგიერთი სახეობის საშხაპე კანს ასველებს, როგორც ზაფხულის წვიმა, არსებობს საშხაპე, რომელიც ქმნის გამამხნევებელი მასაჟის ეფექტს. ახალი საშხაპე კაბინები აერთიანებს „ორივე სამყაროს“ საუკეთესო თვისებებს. უფრო მეტიც ურთიერთდაპირისპირება გამორჩეულად დიდი ზომის საშხაპე თავის საშხაპე კაბინის მინიმალიზმთან წარმოქმნის განსაკუთრებულ დიზაინს წყლის მნიშვნელოვანი მძლავრი ჭავლით. ეს საშხაპეები აბსოლუტურად ჰარმონიზაციას მოახდენს ნებისმიერ თანამედროვე აბაზანის დიზაინთან. ძვირადღირებული ახალი საშხაპეები გერმანიაში, ლარში, GROHE-ს ქარხანაშია წარმოებული.

GROHE SmartControl -ში გამოყენებულია სპეციალური ზედაპირები, შხაპისგან სამოვნების მიღების გასაორმაგებლად. ოვალური წამოწეული ღიობები წყლის ნაკადისთვის მოთავსებულია ვარსკვლავის ფორმის სპრეის - PureRain - ცენტრში და ქმნის ენერგიულ მასაჟს. მომხმარებელს შეუძლია აირჩიოს წყლის კონცენტრირებულ ნაკადებიდან სასურველი - დაძაბული კუნთების მოდუნებისთვის ან თმიდან შამპუნის მოშორებისთვის, ხოლო „წვიმის ნაკადი“ რბილად დაედინება სხეულზე. საშხაპე შეიძლება იყოს ენერგიული და გამამხნევებელი ან დამამშვიდებელი და დასასვენებელი - ან მას შეუძლია დააკავშიროს ორივე რეჟიმი. შხაპის ერთი ფუნქციიდან მეორეში გადასვლის გასამარტივებლად, ან მათი გაერთიანებისთვის. GROHE გვთავაზობს ახალ SmartControl-ის დაფარულ დანადგარებს, რომელიც

GROHE Feldmühleplatz 15, 40545 Düsseldorf
Phone: +49. (0)211/9130-3000
www. grohe. com
Media contact: HERING SCHUPPENER Unternehmensberatung für Kommunikation GmbH Berliner Allee 44, 40212 Düsseldorf, Germany
Phone: +49. (0)211. 430 79-266/-289
E-Mail: grohe@heringschuppener. com





მოიცავს ინტუიციურად გასაგებ ტექნოლოგიას. კონცეფცია 2-ჭავლიანი საშხაპეების და ერთი ხელის შხაპის ერთად ფუნქციონირების საშუალებას იძლევა. შხაპის დასუფთავებაც ისეთივე მარტივია SpeedClean-ის კონსტრუქციის მეშვეობით .

GROHE Rainshower 310 Smart Connect -ის მრგვალი და კვადრატული ფორმის საშხაპეების ზომა სააბაზანო ოთახში განაპირობებს კომფორტს და მიუხედავად იმისა, რომ მათი დიამეტრი - 310მმ.-ია, ან ნაპირის მნიშვნელოვანი სიგრძე საშხაპის კვადრატულ ვარიანტში, მათგან წყლის მძლავრი ჭავლი არასოდეს გაბეზრებთ თავს. რაც მათი დაბალი პროფილის სხეულისა და ცალსახად გამარტივებული სილუეტის დამსახურებაა. საშხაპის დახვეწილი სახელური შესაბამისობაში მოდის მის მრგვალ ან კვადრატული როზეტთან. GROHE Rainshower 310 SmartConnect -ის ახალი დაფარული დანადგარები, საშხაპეში მინიმალურ ჩანაცვლებას უზრუნველყოფს, ტოვებს რა გადაადგილების მაქსიმალურ შესაძლებლობას. შხაპის წყლის PureRain და ActiveRain-ის კომბინირებული ჭავლები და SmartControl-ის მოწყობილობები ხელმისაწვდომია, როგორც ქრომის და და თეთრი ფერის, ასევე გამოირჩევა ფერთა სპექტრით. რომელიც სააბაზანო ოთახის მთლიან დეკორთან სრულყოფილი ჰარმონიის საშუალებას იძლევა.

GROHE- ს, ბრენდის სააბაზანო პროდუქციის ფართო ასორტიმენტი, რომელიც ყოველთვის მოქნილ დიზაინს ქმნის ხელმისაწვდომია მრავალფეროვანი და თანამედროვე ნაირსახეობით.

ინოვაციური საშხაპე GROHE Rainshower 310 SmartConnect - გერმანული პრემიით დაჯილდოვდა. ბოლო წლების განმავლობაში, დიგიტალიზაციამ ძირეულად შეცვალა საზოგადოებრივი და პირადი ცხოვრების მრავალი სფერო. შედეგად, ციფრული გადაწყვეტილებები სულ უფრო და უფრო იკიდებს ფეხს კერძო საცხოვრებელ ადგილებში, აერთიანებს ფიზიკურ და ციფრულ განზომილებებს. ეს განვითარება არ გამორიცხავს სააბაზანო სივრცეს. მომხმარებლები სპეციალურად ეძებენ ინტელექტუალური კონტროლის მქონე ტექნოლოგიებს, რომლებიც ამრავალფეროვნებენ ყოველდღიურ რუტინას აბაზანაში.

„მხოლოდ ინტელექტუალური ტექნოლოგია არ არის გამოსავალი, მაგრამ იგი უნდა განიხილებოდეს, როგორც - განვითარების ფაქტორი“, - თქვა თომას ფურმა, COO Fittings LIXIL International- ის გენერალურმა დირექტორმა და Grohe AG– ის გენერალურმა დირექტორმა.

„ყოველთვის, როდესაც ჩვენ განვავითარებთ ახალ ტექნოლოგიებს ან ინოვაციურ პროდუქტს, ვეკითხებით საკუთარ თავს: რა არის მიზანი? როგორ იმოქმედებს ეს მომხმარებელთა ცხოვრებაზე? მოაგვარებს თუ არა ეს პრობლემას და გაამარტივებს ცხოვრებას? ჩვენთვის მომხმარებლები და მათი მოთხოვნილებები აშკარად ყურადღების ცენტრშია, რადგან მომხმარებელზე, მხოლოდ ამგვარად ორიენტირებული აზროვნებით შეგვიძლია განვავითაროთ ტექნოლოგიები და პროდუქტები, რომლებიც გვთავაზობენ რეალურად დამატებით ღირებულებას.

GROHE Feldmühleplatz 15, 40545 Düsseldorf
Phone: +49. (0)211/9130-3000
www. grohe. com
Media contact: HERING SCHUPPENER Unternehmensberatung für Kommunikation GmbH Berliner Allee 44, 40212 Düsseldorf, Germany
Phone: +49. (0)211. 430 79-266/-289
E-Mail: grohe@heringschuppener. com









## GROHE SmartControl ონკანები - თანამედროვე სამზარეულოს ახალი სამკაული





სამგზის პრიზირებული:

- GROHE ZEDRA SMARTCONTROL-ის სამზარეულოს ონკანები გამორჩეულია დიზაინით, ერგონომიკით და ინოვაციით
- LIFECARE-მა GROHE „საყვარელ ბრენდად“ დაასახელა და ოქროს ჯილდო მიანიჭა
- GROHE SMARTCONTROL COLORS-ის კოლექციამ გაიმარჯვა და IF DESIGN AWARD 2020-ის ოქროს პრემია მოიპოვა.




GROHE
Pure Freude an Wasser

GROHE Feldmühleplatz 15, 40545 Düsseldorf
Phone: +49. (0)211/9130-3000
www. grohe. com
Media contact: HERING SCHUPPENER
Unternehmensberatung für Kommunikation
GmbH Berliner Allee 44, 40212 Düsseldorf,
Germany
Phone: +49. (0)211. 430 79-266/-289
E-Mail: grohe@heringschuppener. com

GORGIA SIDO





ᲤᲝᲠᲣᲛᲘᲡ DESIGN GMBH– ᲘᲡ ᲐᲦᲘᲐᲠᲔᲑᲐ

### ᲤᲝᲠᲛᲘᲡ ᲓᲐ ᲤᲣᲜᲥᲪᲘᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘ ᲙᲝᲛᲑᲘᲜᲐᲪᲘᲐ

GROHE ZEDRA SMARTCONTROL FAUCET-ის მიქსერი გამოირჩევა ლაკონური დიზაინით, რომელიც მთელი კოლექციისათვის არის დამახასიათებელი. SMARTCONTROL -ის ინტუიციური და ეკოლოგიური ტექნოლოგიის წყალობით, ეს მიქსერი არა მხოლოდ სრულყოფილად ასრულებს თავის ძირითად ფუნქციებს, არამედ საშუალებას გაძლევთ ზუსტად მივმართოთ წყლის ნაკადი. წყალი მოედინება არა კლასიკური ბერკეტით, არამედ ღილაკის დახმარებით, რომელსაც შეგიძლიათ დააწვეთ არა მხოლოდ თითით, არამედ, მაგალითად, ხელის უკანა მხარით ან იდაყვით (თუ ხელები დაკავებულია). და ნაკადის სიმძლავრე შეიძლება წინასწარ დააკონფიგურიროთ იმავე ღილაკის დაჭერით. წყლის ტემპერატურა რეგულირდება კორპუსზე არსებული მბრუნავი რეგულატორით. დამატებითი ეკოლოგიური ბონუსი არის ეკო რეჟიმის წინასწარ არჩევის შესაძლებლობა. ეს უკანასკნელი საშუალებას გაძლევთ კიდევ უფრო შეზღუდოთ წყლის გადინება.





GROHE ZEDRA SMARTCONTROL მიქსერი SMARTCONTROL- ის ერთ-ერთი ხაზია. სხვათა შორის, ახლახან GROHE SMARTCONTROL COLORS კოლექციამ მიიღო ოქროს ჯილდო IF DESIGN AWARD 2020 ზე. INTERNATIONAL FORUM DESIGN GMBH - მსოფლიოს უძველესმა დამოუკიდებელმა დიზაინის საზოგადოებამ უპირობოდ აღიარა ბრენდის პროდუქციის სამომხმარებლო ხარისხი, საიმედოობა და უზადო დიზაინი.

„ონკანების ეს კოლექცია მომხმარებლის გამოცდილებას გარდაქმნის დიზაინ-იდეის მთავარ მამოძრავებელ ძალად! ჟიურიზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა საოცარმა ოსტატობამ, რომელიც ჩადებულია პროდუქციისა და მისი დიზაინის შექმნაში, რაც ამ კოლექციას ნებისმიერი სამზარეულოს განუყოფელ ნაწილად აქცევს“- აღნიშნა ჟიურიმ.


GROHE Feldmühleplatz 15, 40545
Düsseldorf
Phone: +49. (0)211/9130-3000
www. grohe. com
GROHE
Pure Freude an Wasser
Media contact: HERING SCHUPPENER
Unternehmensberatung für Kommunikation
GmbH Berliner Allee 44, 40212 Düsseldorf,
Germany
Phone: +49. (0)211. 430 79-266/-289
E-Mail: grohe@heringschuppener. com

GORGIA SIDO



# GROHE Bau Cosmopolitan სენსორული მიქსერი: ახალი მიდგომა უკონტაქტო მოწყობილობებთან

- ზუსტი ინფრაწითელი სენსორი ავტომატურად განსაზღვრავს ხელის პოზიციას
- მაქსიმალური ფუნქციურობა და ჰიგიენა მინიმალისტურ დიზაინში

ბოლო პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა სენსორული მიქსერების პოპულარობა და სულ უფრო მეტი ინტენსივ ობით ამონტაჟებენ მას არა მხოლოდ საზოგადოებრივ ადგილებში, არამედ კერძო სახლებში. მასში გაერთიანებულია კომფორტი და ჰიგიენა, ხოლო GROHE Bau Cosmopolitan E– ის უკონტაქტო სტილური მოდელების გამოჩენა ნებისმიერი დიზაინერული გადაწყვეტის მქონე სანკვანძისთვის მისაღებია.

ინტუიციური მართვის სისტემის წყალობით, უკონტაქტო მიქსერი იდეალურია, როგორც ახალგაზრდა, ისე ხანდაზმული მომხმარებლებისთვის. სასიამოვნო ბონუსი არის ისიც, რომ თავისი შედარებით დაბალი ფასით, GROHE-ს ინფრაწითელ მიქსერს შეუძლია კიდევ უფრო დაზოგოს წყლისა და ელექტროენერგიის მოხმარება, ასევე, მარტივი ინსტალაცია შეამცირებს ექსპოლოატაციისა და და ტექნიკური მომსახურების ღირებულებას.

### წყლით მიღებული უკონტაქტო სიამოვნება კომპრომისების გარეშე

GROHE Bau Cosmopolitan E აღჭურვილია ზუსტი და საიმედო ინფრაწითელი სენსორული ტექნოლოგიით, რომელიც საშუალებას გაძლევთ ჩართოთ წყალი, მხოლოდ მაშინ, როდესაც ხელები გაქვთ მიქსერის სიახლოვეს. სენსორის მოქმედების დიაპაზონი და ხანგრძლივობა ადვილად რეგულირდება სამართავი პულტით. GROHE EcoJoy -ის ტექნოლოგიის წყალობით, მიქსერი 50% -ით ნაკლებ წყალს ხარჯავს კომფორტის შემცირების გარეშე.

### ჰიგიენა და საიმედოობა

უკონტაქტო ტექნოლოგიის წყალობით, GROHE Bau Cosmopolitan E თითქმის მთლიანად გამორიცხავს სხვადასხვა მომხმარებლებს შორის პათოგენების გადაცემას.

უსაფრთხოებისა და ჰიგიენის კიდევ ერთი ბონუსია ჰიგიენური ფლეშის მარტივი, ავტომატური რეჟიმის პარამეტრები. ცხელი წყლით დეზინფექცია და გათიშვა წმენდის დროს. ყველა ამ ფუნქციების ჩართვა შესაძლებელია პულტით ან ხელით.

GROHE StarLight -ის ტექნოლოგია ქრომით დაფარვის ხანგრძლივმედეგობის გარანტია. ინსტალაცია და ამუშავება წარმოებს რამდენიმე წუთში GRHE -ს Plug & Play სქემით ("დააყენე და გამოიყენე").

GROHE-ს პორტფელში ასევე შედის GROHE Essence E და GROHE Eurocube E.-ს მოდელები.

მათი ფორმები ლაკონური და მარტივია, ამავე დროს, აერთიანებს თანამედროვეობას, კომფორტს და ელეგანტურობას. მკაცრი გეომეტრიის მოყვარულთათვის - კუბური Eurocube E - მთავარი აქცენტია თანამედროვე აბაზანაში.



Pure Freude an Wasser
GROHE
GROHE Feldmühleplatz 15,
40545 Düsseldorf
Phone: +49. (0)211/9130-3000
www. grohe. com
Media contact: HERING SCHUPPENER
Unternehmensberatung
für Kommunikation GmbH wBerliner Allee
44, 40212 Düsseldorf, Germany
Phone: +49. (0)211. 430 79-266/-289
E-Mail: grohe@heringschuppener. com
IDEAL
GORGIA
SIDO

## GROHE Sensia® Arena - უნიტაზი-ბიდე კომფორტული ცხოვრებისთვის



### GROHE SENSIA® ARENA - ბიდე-უნიტაზმა, მსოფლიო აღიარება მოიპოვა

- ინოვაციური ტექნოლოგიები კომფორტისა და ჰიგიენისთვის
- ყოველდღიური განახლება და სისუფთავე

თანამედროვე ტექნოლოგია თანდათან მთელს ჩვენს ცხოვრებას მოიცავს, იგი გამოჩნდა ისეთ პრივატულ სივრცეებშიც კი, როგორიც სააბაზანო და ტუალეტია. კომპანიის - ბიდე/უნიტაზი GROHE SENSIA® ARENA - ერთერთი უახლესი ინოვაციური გადაწყვეტა განკუთვნილია იმისთვის, რომ ყოველდღიური ჰიგიენის პროცედურები გარდაქმნას სასიამოვნო დასვენებისთვის პროცესად. ბოლო წლების განმავლობაში მთელ მსოფლიოში იძენს პოპულარობას ტრადიციული იაპონური რიტუალი - წყლით წმენდის ტუალეტის ქაღალდის გამოყენების გარეშე. GROHE SENSIA® ARENA -ს ბიდე/ტუალეტი ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება თანამედროვე ტექნოლოგიებით ჩვენი ცხოვრების გააუმჯობესება, ინოვაციის, ტრადიციის და თანამედროვე დიზაინის გაერთიანებით.

Pure Freude an Wasser
GROHE
GROHE Feldmühleplatz 15,
40545 Düsseldorf
Phone: +49. (0)211/9130-3000
www. grohe. com
Media contact: HERING SCHUPPENER
Unternehmensberatung
für Kommunikation GmbH wBerliner Allee
44, 40212 Düsseldorf, Germany
Phone: +49. (0)211. 430 79-266/-289
E-Mail: grohe@heringschuppener. com
IDEAL
GORGIA
SIDO

# კომფორტული რეცხვა სუფთა გამდინარე წყლით



### GROHE SEAT-ს ხელით რეგულირება არ საჭიროებს ძალისხმევას

ტუალეტის ოთახში დელიკატური პროცედურების დროს უპრეცედენტო სისუფთავე, სიახლე და კომფორტი გახდება თქვენი ცხოვრების ნორმა, GROHE BIDET– ის გამოყენებით! სხეულის წყლით გაწმენდა უფრო ბუნებრივი, ჰიგიენური და სასიამოვნოა კანისთვის, ქაღალდის გამოყენებასთან შედარებით. ხელით რეგულირებადი GROHE BIDET მონტაჟდება შესაბამისი ფორმის უნიტაზზე და წყალთან შეერთების შემდეგ, უზრუნველყოფს მართვად წმენდას ორი ცალკეული საშხაპე საქშელით. ტუალეტის თასის გარეთ წყლის გაფრქვევა გამორიცხულია. შეგიძლიათ დააყენოთ საქშენები თქვენთვისკომფორტულ მდგომარეობაში და გამრეცხვის ფუნქცია თავად იზრუნებს მათ ჰიგიენაზე.

ხელით ექსპლუატაცია GROHE BIDET გადააქცევს ტუალეტის ოთახს თქვენს პირად სივრცედ დელიკატური პროცედურებისთვს, უზრუნველყოფს განსაკუთრებულ კომფორტის და რელაქსს. უბრალოდ დაჯექი და იგრძენი თავი სისუფთავისა და კომფორტის ოაზისში. რა შეიძლება იყოს ამაზე მარტივი.


www.archias.ge
AAG
Asciation of Architects of Georgia
საქართველოს არქიტექტორთა ასოციაცია
არქიტექტურული პრემია 2012
STYLE
CONTEMPORARY GEORGIAN ARCHITECTS
HO-RE-CA design
არქიტექტურული კონკურსები
www.archias.ge


NEW LIGHT
ახალი ნათება
ფორუმი BY ახალი ნათება
ავეჯი განათება აქსესუარები
დაიბრუნე 30%
დაგროვების ბარათზე
Cashback
2 20 24 24
აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, თბილისი
ლ. თევდორელიძის 2 (ისთ ფოინთი), თბილისი
ჟ. აბუსერიძის 20 (შავი ზღვის მოლი), ბათუმი
შ. ხიმშიაშვილის 1, ბათუმი
www. newlight.ge



ჰოლანდიური ავეჯის ბრენდი
LIFE
OUTDOOR LIVING
ხარისხი და ფუნქციურობა
ფორუმი
BY
ახალი
ნათება
ავეჯი განათება აქსესუარები
2 20 24 24
აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, თბილისი
დ. თავდგირიძის 2 (ისთ ფოინთი), თბილისი
ჭ. აბუსერიძის 20 (შავი ზღვის მოლი), ბათუმი
შ. ხიმშიაშვილის 1, ბათუმი
www. newlight.ge


NEW LIGHT
ახალი ნათება
NEW LIGHT
NEW LIGHT
გაანათებულია ახალი ნათების მიერ
DONE BY NEW LIGHT
ფილიალები თბილისში:
ალმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ
თვალჭრელიძის 2 (ისთ ფოინთი)
წერეთლის 116
ყაზბეგის 25ა
შეშელიძის 45
წულუკიძის 11
დიდუბის 6
კავსაძის 3
აბლაძის 7
ფილიალები რეგიონებში:
ხიმშიაშვილის 1, ბათუმი
აბუსერიძის 20 (შავი ზღვის მოლი), ბათუმი
ჭავჭავაძის 76, ბათუმი
ჭავჭავაძის 21, ბათუმი
ალმაშენებლის 7, ქუთაისი
ფარნავაზ მეფის 1, ფოთი
სტალინის 8, გორი
www. newlight.ge
2 20 24 24

# www. archias.ge




„საქართველოს არქიტექტორთა ასოციაცია" და ჟურნალი STYLE -ს ეგიდით გამოიცა წიგნი - "საქართველოს არქიტექტურა & თანამედროვე ქართველი არქიტექტორები". გამოცემა გაყიდვაშია თბილისის წიგნის მაღაზიებში.

წიგნის - "საქართველოს არქიტექტურა & თანამედროვე ქართველი არქიტექტორები" - გამოცემა, პროექტის პირველი ეტაპია.

დაწყებულია წიგნის II ნაწილზე მუშაობა. დაგეგმილი გვაქვს, იგი, კვლავ საინტერესოდ განვავრცოდ, მითუმეტეს, რომ ინტერესი პროფესიონალების მხრიდან მზარდია.

დაგვიკავშირდით მისამართზე:
ვაჟა-ფშაველას გამზ. 70ა
მობ: +995 593 42 74 73
E-mail: laghidze.n@gmail.com
www. archias.ge

"Georgian Architecture & Contemporary Georgian Architects" - Book

Project organizers: STYLE Magazine, Association of Architects of Georgia

"Georgian Architecture & Contemporary Georgian Architects" is only the beginning of our project. We started work on the second volume of the book, in which we hope to further explore the past and present of Georgian art, especially considering that the professionals already start to show increasing interest toward our activity.

please contact us at the following address:
70a Vaja-Pshavela ave., Tbilisi, Georgia;
Mobile: +995 593-427473
E-mail: laghidze.n@gmail.com
www. archias.ge

## მზადდება წიგნის მეორე ნაწილი

გამოცემაში მონაწილეობის მსურველებს
დაგვიკავშირდით:
e-mail: laghidze.n@gmail.com

Mob. +995 593 42-74-73; +995 599 10-56-03



# AAG

**საქართველოს არქიტექტორთა ასოციაცია შეიქმნა:**

- პროფესიონალური ურთიერთობებისათვის;
- ქალაქმშენებლობის, არქიტექტურის, დიზაინის სფეროში არსებული პრობლემების განსახილველად და გადასაჭრელად;
- ასოციაციის წევრთა ბიზნესის მხარდასაჭერად;
- არქიტექტორთა საერთაშორისო ფესტივალების, საერთაშორისო კონკურსების - წარმატებით ჩასატარებლად;
- „არქიტექტორთა კლუბის", ჟურნალი "სტილის" პოპულარიზაციისათვის.

საქართველოს არქიტექტორთა ასოციაცია - არქიტექტორების და დიზაინერების გაერთიანება - შესაძლებლობას მისცემს პროფესიონალებს განიხილონ არქიტექტურის და მშენებლობის სფეროში არსებული პრობლემები, სიახლეები, პროექტები, ნოვატორული წინადადებები, ჩაატარონ ახალი სამშენებლო ტექნოლოგიების, დიზაინერული თუ ფურნიტურის კომპანიების პრეზენტაციები.

**„საქართველოს არქიტექტორთა ასოციაციის" სტრატეგიები:**

- მაღალგანვითარებული, დახვეწილი, ერთიანი, თვითრეგულირებადი, პროფესიონალური ორგანიზაციის ჩამოყალიბება არქიტექტურის და სამშენებლო ბაზარზე;
- არქიტექტურისა და მშენებლობის განვითარების ტენდენციების შესახებ ასოციაციის წევრების ინფორმირება;
- ასოციაციის წევრებს შორის ურთიერთობის მექანიზმების ფორმირება;
- ასოციაციის წევრების საქმიანობისთვის პროფესიონალური სტანდარტების შემუშავება;
- ასოციაციის წევრთა სერთიფიცირებისთვის ხელის შეწყობა;
- წვლილის შეტანა ასოციაციის წევრების ბიზნეს ზრდასა და კეთილდღეობაში;
- ასოციაციის წევრების ინტერესების და უფლებების დაცვა, რჩევის მიცემა, დატრეინინგება, დახმარება, მხარის დაჭერა;
- ასოციაციის წევრებისთვის პროფესიული ზრდის ხელშეწყობა;
- ასოციაციის წევრების ინტეგრაცია არქიტექტურის და მშენებლობის პროფესიონალურ სფეროში;
- საერთო პრობლემების გადაწყვეტა; რეკომენდაციების და პროგრამების შემუშავება არქიტექტურისა და სამშენებლო ბაზრის განვითარებისთვის;
- ასოციაციის წევრებს შორის კონსულტაციების და ინფორმაციის გაცვლა მიმდინარე ტექნოლოგიებთან დაკავშირებით, არქიტექტურის და სამშენებლო ბაზარზე პოზიციების შესახებ;
- ასოციაციის წევრების ინტერესების დაცვა და წარმოჩენა საკანონმდებლო, აღმასრულებელ თუ მუნიციპალურ სტრუქტურებში;
- ქვეყნის არქიტექტურის და სამშენებლო საქმიანობის სრულყოფისთვის და ერთიანი მაღალესთეტიკური ქალაქდაგეგმარებითი კრიტერიუმების დამაკმაყოფილებელი, კეთილმოწყობილი ქალაქური გარემოს ჩამოყალიბებისთვის ხელის შეწყობა;
- საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით ნაციონალური სტანდარტების შემუშავება;
- პროფესიონალთა პრესტიჟის განმტკიცება; ასოციაციის წევრთა გაზრდა.

**Association of Architects of Georgia**

In 2011 STYLE Magazine and Architectural Club Ltd established Association of Architects of Georgia (Noncommercial (non-governmental) Legal the person).

Association of Architects of Georgia - a union of architects and designers - provides the professionals with an opportunity to discuss ongoing architectural and construction issues and news, projects and innovations introduced by their colleagues and to arrange presentations of new construction technologies, services and products offered by design or furniture companies.

Association of Architects of Georgia was established with the following goals:

- to foster professional relationships;
- to enable discussion and solving of different issues related to urban development, architecture and design;
- to support professional activities of Association members;
- to promote STYLE Magazine and diversify the range of its publications;
- to ensure successful development of international competitions - such as Architectural Award - organized under the auspices of STYLE Magazine;
- to provide Association members with an informal but presentable social environment.

Every year, STYLE organizes an international exhibition Architectural Award, covering such nominations as single-family residence, apartment block / residential complex, public construction, residential interior, public interior, reconstruction project, etc. (detailed information about this competition can be found at http://www.archiaward.com)

In 2014, Association of Architects of Georgia, Architects' Club and STYLE Magazine jointly organized the first Georgia-based International Architecture Festival in conjunction with the already traditional international architectural competition Architectural Award 2014.

We hope you find the above noteworthy and look forward to your comments regarding cooperation opportunities.

Thank you very much in advance.

**დაგვიკავშირდით:**
ბერბუკის ქ.№3,№3,0171, თბილისი. მობ: +995 593 42 74 73.
ელ-ფოსტა: laghidze.n@gmail.com http://www.archias.ge http://www.archiaward.com

Contacts: 3 Berbuki street 0171, Tbilisi, Georgia. Cell: +995 593 42 74 73
E-mail: laghidze.n@gmail.com http://www.archias.ge http://www.archiaward.com





# მაღალი მოთხოვნები – მაღალი ხარისხი

## Emphoria – ქალაქ მალმეს სავაჭრო ცენტრი

შენობის სამივე სართულზე განთავსებულია 200 მაღაზია. სრული სავაჭრო ფართი 68 000 მ2, საშუალო დატვირთვა 25 000 მომხმარებელი დღეში. ამ პარამეტრებით იგი შედის სკანდინავიის ერთ-ერთი ყველაზე დიდი მოლების სიაში. ამიტომაც, პროექტს წაუყენეს შესაბამისად მაღალი მოთხოვნები და ასევე იყო მაღალი მოლოდინები. სწორედ ამიტომ, არქიტეტორები Wingardh-ის ბიუროდან აკვირდებოდნენ შენობის ყველა კომპონენტის, როგორც ესთეტიურ, ასევე ფუნქციონალურ უნაკლობას. ამ კომპონენტების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია EMCO-ს ფეხსაწმენდი სისტემები.

Emphoria-ს შიდა დიზაინი მნიშვნელოვნად განსხვავდება სავაჭრო ცენტრების ჩვეული იერისაგან. მკვეთრი ფერები და მომრგვალებული გალერეები ამსხვრევენ ზოგადად მიღებულ ნორმებს! არქიტექტურული ჯგუფის დევიზი იყო „არავითარი ერთფეროვნება„. ინტერიერის განმასხვავებელი შტრიხები იყო გამჭოლი დიზაინი და რთული კონსტრუქციული დეტალები.



## ხარისხი – როგორც საუკეთესო ამოსავალი წერტილი!

იატაკის მაღალი ხარისხის შესანარჩუნებლად დიდი ხნის განმავლობაში, მიუხედავად მაღალი ტვირთებისა, რომელიც დღეში დაახლოებით 25,000 ვიზიტორს მოიცავს, არქიტექტორების ჯგუფმა შეარჩია EMCO-ს ჭუჭყდამცავი სისტემები. ამასთან ერთად EMCO-ს პროდუქტები იდეალურად ერწყმის საერთო არქიტექტურას და არანაირად არ განიხილება, როგორც მხოლოდ ფუნქციონალი. სისტემების მაღალი ხარისხი დამატებით ხაზს უსვამს შენობის გრანდიოზულობას.

EMCO

*ასეთი მასშტაბური და ამბიციური პროექტი გულისხმობს არა მარტო არქიტექტურის მაღალ ხარისხს, არამედ ტექნიკური მხარის დეტალურ დამუშავებასაც. Emco-ს ფეხსაწმენდი სისტემები არამარტო სრულად აკმაყოფილებენ აღნიშნულ ორივე პარამეტრს, არამედ არიან უნიკალურად ფუნქციონალურები!*

*გერდ ვინგარდი /Gert Wingardh/ არქიტექტორი*













# PALAIS VEST

რეკლინგჰაუზენი, გერმანია

სავაჭრო ცენტრი განთავსებულია პირდაპირ უორლინგ ბულვარზე, ქალაქის ძველ ისტორიულ ნაწილში.

გამოყენებულია ფეხსაწმენდი სისტემა EMCO Marschall, შერჩეულია წითელი ფერის ჩანართები, რამაც შენობის შესასვლელს შეჰმატა გრაციოზულობა.

Markus Schwitzke-ის and Richard Wörösch-ის ნამუშევარი.









# HAMBURG CHAMBER OF COMMERCE

ჰამბურგი, გერმანია

ჰამბურგის სავაჭრო სამრეწველო პალატა ფუნქციონირებს 1665 წლიდან. მასში გაერთიანებულია 150 000 პალატის წევრი.

ბოლო რეკონსტრუქციის შემდეგ გამოყენებული იქნა პროდუქტი EMCO Diplomat.

ისტორიული არქიტექტურის და თანამედროვე სისტემების იდეალური თანხვედრა.



# შოურუმები გალერეა დემასში

კომპანია „დემასი"20 წლის მანძილზე – დაარსებიდან დღემდე – აოცებს მომხმარებელს, თავის სავაჭრო ცენტრებში წარმოდგენილი ევროპული ბრენდების, უმაღლესი ხარისხის პროდუქციით. კომპანია „დემასის"პარტნიორები არიან მსოფლიოში ცნობილი კომპანიები, როგორიცაა: Axor, Florim, Ricchetti, Gardenia Orchidea, Peronda, Mapei, Hansgrohe, Roca, Laufen, Duravit, Grohe ,Geberit და სხვა სანტექნიკის, კედლის და იატაკის ფილების მწარმოებელი ბრენდები.

კომპანიის ერთ–ერთი მნიშვნელოვან სავაჭრო ცენტრში – „გალერეა დემასში" – ყველა პირობაა შექმნილი იმისთვის, რომ პროფესიონალმა ნაყოფიერად იმუშაოს. აქ წარმოდგენილი პროდუქცია ხშირად გამხდარა დიზაინერებისთვის შთაგონების წყარო და მართლაც, შედეგი, ნამდვილად ყოველთვის წარმატებულია. „გალერეა დემასის" მომსახურების პროგრამა ეხმარება ყველა არქიტექტორსა თუ დეკორატორს, რომელიც მუშაობს დიზაინის საკითხებზე, სწრაფად და დამაჯერებლად გამოიყენოს მისი პროდუქციის სრული სპექტრი და შეძლოს თითოეული პროდუქტის თავისებურების გათვალისწინებით მისი მორგება რეალურ გარემო პირობებთან.

გადავწყვიტეთ, ქართველი დიზაინერებისთვის გვეკითხა, რა არის მათი ინსპირაციის წყარო და რატომ იღებენ შთაგონებას ყველაზე მეტად „გალერეა დემასში":



დიზაინერი **მაია წერეთელი**: – „გალერეა დემასთან" ოც–წლიანი თანამშრომლობის მანძილზე ყოველთვის მქონდა უამრავი სტილის და სხვადასხვა ბრენდის მასალების უახლესი პროდუქციის გამოყენების საშუალება, რაც არაერთ ჩემს მიერ შექმნილი პროექტით განხორციელებულ ინტერიერშია წარმოდგენილი.











9 მარტის სახ. ბაღის მიმდებარე ტერიტორია,
თბილისი, 0105, მშრალ ხიდთან
9th March Garden Territory, Right Embankment.
0105 Tbilisi. Near Dry Bridge
☎ 2 99 99 01
www..gallerydemasi.ge

გალერეა დემასი







დიზაინერი **ილია ზაქარაია**: – „გალერეა დემასი" არის სივრცე უმაღლესი მომსახურების და კრეატიული მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად !

აქ მოსულ მომხმარებელს შეუძლია ნებისმიერი სურვილი აისრულოს და მისაღებ ფასად შეიძინოს თანამედროვე, ევროპული პროდუქციის ფართო ასორტიმენტი.





9 მარტის სახ. ბაღის მიმდებარე ტერიტორია,
თბილისი, 0105, მშრალ ხიდთან
9th March Garden Territory, Right Embankment.
0105 Tbilisi. Near Dry Bridge
☎ 2 99 99 01
www..gallerydemasi.ge

გალერეა დემასი

გალერეა დემასი



არქიტექტორ/დიზაინერი **მაია ადამია**: – „გალერეა დემასის” წამყვან ევროპულ ბრენდებთან თანამშრომობის დიდი გამოცდილება, მოტივირებული და ყურადღებიანი თანამშრომლები – დიზაინერისთვის კომფორტია მასალების შერჩევის პროცესში. შოურუმში წარმოდგენილი პროდუქციის ფართო ასორტიმენტი ნებისმიერი გემოვნების დამკვეთის მოთხოვნებს აკმაყოფილებს.









**დიზაინერი ლალიკო შაშიაშვილი**: – ყოველთვის ვიცი, „გალერეა დემასთან” შეხვედრა ძალიან საინტერესო და შთამაგონებელი რომ იქნება... თბილი გარემო, ხარისხიანი პროდუქცია, ყურადღება – აქ ყველაფერი ადგილზე!



9 მარტის სახ. ბაღის მიმდებარე ტერიტორია,
თბილისი, 0105, მშრალ ხიდთან
9th March Garden Territory, Right Embankment.
0105 Tbilisi. Near Dry Bridge
☎ 2 99 99 01
www..gallerydemasi.ge

გალერეა დემასი

# სარჩევი

# Content


მზიურის პარკის რეაბილიტაცია 34 Mziuri Park Renovation

38 Park 's Ska tepark and Parkour Ground

ვანში ახალი მუზეუმი აშენდა 40 A new museum in Vani

თბილისის სამხატვრო აკადემია 44 Tbilisi State Academy of Arts

თანამედროვეობაში გაცოცხლებული კლასიკა 50 Classics revived in modern

კონსტრუქციული და დეკორატიული დეტალების ალიანსი 56 Alliance of construction and decorative details

60 French interior in the center of Tbilisi

სასტუმრო თელავში 66 SEVENTEEN ROOMS

შუშაბანდები ვაკეში 72 Glass Gallery in Vake







სახლი ლისი ვერანდაზე 78 Residential in Lisi Veranda

საოფისე სივრცე 82 Office space

გამომხატველობითი არქიტექტონიკის კონცეფცია 86 The concept of expressive architectonic

დიმას თასი 2020 90 Exquisite decor of stylistic elements

არქიტექტურული კერამიკა 94 Architectural ceramic

აღმოაჩინე შენი ქვეყნის მემკვიდრეობა 96 Georgia Rediscovered

გამოფენა - პრემიერა ოთხი აქტით 98

გიგა ბათიაშვილის წიგნი 100



# მზიურის პარკის რეაბილიტაცია







„მზიური“ პარკის რეკონსტრუქციის პროექტზე მუშაობდნენ:
შპს. „არტსტუდიო პროექტი“

ხელმძღვანელი: გიორგი სულაბერიძე

საპროექტო გუნდი: არქიტექტორები/დიზაინერები
ეკა ბაგალიშვილი, შოთა დემეტრაშვილი, ანი მამულაშვილი,
ანი წიქორიძე, ცია ოქროპირიძე, ტარიელ მიქაუტაძე,ნატუკა ჩიჩილაძე.

დათო რუსიტაშვილი - ვიზუალიზაცია

მაკა გუგუნავა - კონსტრუქტორი.



ინფრასტრუქტურის სამინისტრომ დაასრულა 2015 წლის 13 ივნისის სტიქიის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის 9 კომპონენტიანი პროექტი, რომელიც ევროპის საინვესტიციო ბანკმა დააფინანსა.

2017 წელს დაიწყო და 2018 წლის ზაფხულში დასრულდა პროექტის პირველი და ყველაზე სასწრაფოდ განსახორციელებელი ფაზა, რომელიც მოიცავდა წყნეთი-სამადლოს, წყნეთი-ახალდაბის და წყნეთი-ბეთანიის გზის რეაბილიტაციას. რეაბილიტირდა სტიქიის შედეგად დაზიანებული 4 კმ გზები და ტერიტორია. ამავე მონაკვეთის მეწყერ საშიშ ზონებში დამონტაჟდა ადრეული შეტყობინების სისტემა.

2018 წელს დასრულდა თბილისში მდინარე ვერეს კალაპოტში ორი ნატანდამჭერი ნაგებობების მშენებლობაც. მდინარის გამორეცხვის თავიდან ასაცილებლად, „მზიურის“ პარკის მიმდებარედ მოეწყო ვერეს ნაპირსამაგრი ბეტონის 118 მეტრიანი საყრდენი კედელი. ასევე, გაიწმინდა მდინარის 4 კმ-იანი კალაპოტი და მისი ნაწილი მოექცა რკინაბეტონის კონსტრუქციის კედლებსა და არხში. თბილისში კი, ჭავჭავაძის N83-ის მიმდებარედ გამოფიტული და დაშლილი კლდოვანი ქანების ჩამოშლის პროცესების აღსაკვეთად, გაკეთდა ბეტონის 205 მეტრიანი საყრდენი კედელი და სხვა. დასრულდა კომპლექსური პროექტის ბოლო ფაზაც - მზიურის პარკის რეაბილიტაცია.

სრულად განახლდა 13 ივნისის წყალდიდობის შედეგად დაზიანებული ჭაბუა ამირეჯიბის გზატკეცილის მიმ-

დებარე გამწვანება და პარკი. აღდგა პარკში არსებული მოზაიკები, ხიდები, კიბეები და გამოიცვალა ყველა სახის კომუნიკაცია: კანალიზაცია, სასმელი წლის, ირიგაციის, ხანძარსაწინააღმდეგო და გარე განათების სისტემები. პარკის ტერიტორიაზე მოეწყო ველო ბილიკები, სკამები, ურნები, ფანჩატურები, სასმელი წყლის სოკოები, დასასვენებელი ადგილები და დაიდგა ზონირების შესაბამისი ნიშნები.

მზიურის რეაბილიტაციის ფარგლებში პარკის კავშირები გაუმჯობესდა. ამ მიზნით შეფასდა არსებული ბილიკების ქსელი, არაფორმალური ბილიკები და შესაძლო სხვა მოსახერხებელი კაშირები. გამოვლინდა მნიშვნელოვანი და მეორე ხარისხოვანი ბილიკები. საფეხმავლო კავშირის გასაუმჯობესებლად დაიგეგმა მათი აღდგენა-განახლება და ახალი ბილიკების და კიბეების მოწყობა.

დამატებით დამუშავდა მზიურში გამავალი საავტომობილო გზის ადაპტაციის გეგმა, რაც ფეხმავალზე ორიენტირებულს გახდის ამ მონაკვეთს და შეამცირებს ავტომობილისა და ფეხმავლის კონფლიქტს. მოეწყო ადაპტირებული პანდუსი - გადასახედი ადგილი, იქ, სადაც ადრე მზიურში არსებული საბაგირო გზის ზედა სადგური მდებარეობდა. ზედა სადგურის სტრუქტურა დღეს არაფორმალურად გადასახედი ადგილის ფუნქციას ასრულებს. პანდუსის მოწყობით დამატებითი კავშირი გაჩნდა სხვა ტერიტორიებთან და ამასთან, გადასახედის ფუნქციაც შეითავსა. პანდუსის საერთო სიგრძე 101 მეტრზე მეტია, სიგანე 1.8მ, ქანობი 8%-ია . საბავშვო მოედანი მზიურის რეაბილიტაციის პროექტის მნიშვნელოვანი კომპონენტია. მზიურის საზღვრებში რამდენიმე საბავშო მოედანი ძირითადად ტერიტორიის ცენტრალურ ნაწილშია განთავსებული. 2015 წლის დატბორვის შემდეგ, ეს ადგილი და მისი დეგრადირებული ინფრასტრუქტურა სრულიად უფუნქციოდ იყო დარჩენილი. რეაბილიტაციის შემდეგ, საბავშვო მოედნები შეგდება რამდენიმე ტერასულად განთავსებული, წრიული ფორმის ბაქნებისგან, სადაც სხვადასხვა ტიპის და ასაკობრივი ჯგუფის ფუნქციური ელემენტებია განთავსებული - საქანელები, სასრიალოები, ქვიშის სათამაშო მოედნები და სხვა.

მზიურის ცენტრალური ნაწილის არეალში მოეწყო ღია მინდორი და მცირე ტბა, რომელიც ბევრ მნახველს/დამსვენებელს იზიდავს. ამინდის გაუარესების, ქარის და წვიმის შემთხვევაში, ისევე, როგორც შუადღის მზისგან თავშესაფარად, მცირე საჩრდილობელი შონობაა მოწყობილი. მზიურის ტერიტორიაზე მცირე ტბის (ტბორის) მოწყობის მიზანი იყო დაჭაობებული ტერიტორიების გაჯანსაღება, სარწყავი წყლის მარაგის შექმნა და წყლის, როგორც სარეკრეაციო დამატებითი ელემენტის გაჩენა. ხელოვნური ტბის მოწყობით შესაძლებელი გახდება წყლის ერთ ადგილას თავმოყრა და მისი სხვა, დამატებითი ფუნქციით გამოყენება. წყლის სავარაუდო საანგარიშო მოცულობა 960 კუბ.მ-ია. საშუალო სიღმრმე - 0.8მ. მზიურის ტერიტორია, ასევე აღჭურვილია საზოგადოებრივი ტუალეტით, რაც მიმდებარე ტერიტორიის სანიტარულ პირობებს უკეთ შენარჩუნებს.

თბილისს კიდევ ერთი კეთილმოწყობილი, მრავალ ფუნქციური რეკრეაციული ზონა შეემატა. პარკის განახლებული ინფრასტრუქტურა ადაპტირებულია გან-









# MZIURI PARK RENOVATION

**The renovation project of the park was made by: Art Studio Project Ltd..**

**Head:Giorgi Sulaberidze**

**Project team: architects / designers**
**Eka Bagalishvili, Shota Demetrashvili,**
**Ani Mamulashvili, Ani Tsikoridze,**
**Tsia Okropiridze, Tariel Mikautadze,**
**Natuka Chichiladze.**

**Visualization: Dato Rusitashvili,**

**Constructor: Maka Gugunava**

Present design (customer – Municipal development Fund of Georgia) envisages rehabilitation of Mziuri Park.The Reconstruction of Mziuri Park in Tbilisi has been completed. The project also includes the renovation of the park and greenery near the Chabua Amirejibi highway which was damaged during the June 13, 2015 flood. Bicycle roads, benches, bins, drinking water fountains, and recreation areas were set up in the park area. Also, an artificial lake, skateboard and children's playgrounds were built on the territory of the Mziuri Park. After the completion of the project, another fully well-equipped multifunctional recreation zone added to the capital…The upgraded infrastructure adapted for people with disabilities, as well as for parents of children in strollers. Reconstruction works were supervised by the Ministry of Infrastructure and Tbilisi City Hall. The budget of the project is financed by the European Investment Bank.

















# MZIURI PARK'S SKATEPARK AND PARKOUR GROUND

**კონცეფცია და შესრულება: არქიტექტორი დავით გიორგაძე, David Giorgadze Architects და მაქსიმე მაჩაიძე/LTFR**
**პროექტზე მუშაობდნენ: სანდრო ფოფხაძე, გივი მაღრაძე, ქლაივ ქროფტონი, მაკო კაპანაძე და სოფო ხუნწარია**
**Concept and performance: David Giorgadze Architect /David Giorgadze Architects/ and Maxime Machaidze/ LTFR**
**Sandro Popkhadze, Givi Maghradze, Clive Crofton, Mako Kapanadze and Sopho Khuntsaria - worked on the project.**

მზიურის პარკში შეიქმნა ისეთი ტიპის სპორტული სივრცეები, რომელიც ბევრად უფრო კომფორტულს და საინტერესოს გახდის „მზიურს" ახალგაზრდებისთვის. პარკური (Parkour Ground) და სკეიტპარკი მზიურის რეაბილიტაციის პროექტის მნიშვნელოვანი კომპონენტებია. მათ მოსაწყობად, იდეის ავტორებმა გამოცდილ სკეიტერებისგან და ტრეისერებისგან პროფესიული რჩევები მიიღეს. სკეიტპარკი მზიურის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მოეწყო. იგი ორი ტიპის ე.წ. აუზის და საჯარო მოედნის (bowl park, Street plaza park) ელემენტებს აერთიანებს. აუზი ვერეს ხეობის შემომავალი არხის ნაწილს იმეორებს და ვითარდება არსებული მცირე ხიდის ქვედა სივრცეში. საჯარო მოედანი კი აუზის სტრუქტურისგან დამოიკიდებლად მოწყობილი სწორი ზედაპირის არეალია, რომელიც აუზის ჩარღმავებასთან გარდამავალი ქანობით საშუალებას მისცემს დამწყებ სკეიტერებს ისარგებლონ ორივე პარკის (ნაწილის) ინფრასტრუქტურით.

სკეიტპარკს Parkour Ground ემიჯნება. საქართველოში პარკური ჯერჯერობით არც ისე აქტუალურია და ბევრი მიმდევარი არ ჰყავს, თუმცა, ახალგაზრდების ინტერესი მის მიმართ დღითი დღე იზრდება. პარკური — ეს არის სიძნელეთა დაფარვისა და ქალაქში გადაადგილების ხელოვნება. აქ ადამიანი ძლევს ფიზიკურ დაბრკოლებებს (კედლებს, ღობეებს, სახლებს და ა. შ) თავისი სხეულის საშუალებით. ამასთან, ის დაბრკოლებებს უმკლავდება რაც შეიძლება სწრაფად და ეფექტურად.

მზიურის პარკურის არქიტექტონიკა მეტად დახვეწილი და საინტერესოა. მისი ვიზუალი და ფუნქციურობა სინქრონშია სკეიტპარკთან, მისი სიმრუდეების დინამიკასთან და საერთოდ ქალაქთან.

კვლავ, წარმატებები შემოქმედებით ჯგუფს!

განახლებული პარკი ქალაქის შუაგულში ეს ის ადგილია, რომლიც ყველას - დიდსაც მოსწონს და პატარასაც.





# ვანში ახალი მუზეუმი აშენდა

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდმა ვანის მუზეუმის მშენებლობა და მიმდებარე ტერიტორიის რეაბილიტაცია დაასრულა.

ვანის სამუზეუმო კომპლექსის პირველი პროექტი-კონცეპციის ავტორია გერმანული არქიტექტურული ბიურო – EWA-ellis williams architects (ხელმძღვანელი დიეთერ ფვანენშტეილი). ამ კომპანიის პროექტით დაიწყო მუზეუმის მშენებლობა, თუმცა ორი წლის შემდეგ, საგამოფენო სივრცეების გაზრდის თვალსაზრისით, საქართველოს ეროვნული მუზეუმის არქიტექტურული ჯგუფის მიერ, რომელსაც ხელმძღვანელობს ზაზა იაშვილი (პროექტის მთავარი არქიტექტორი) მოხდა პროქტის თავიდან გადამუშავება - შეიცვალა კომპლექსის გენგეგმა, დაემატა მასთან დამაკავშირებელი პანდუსების კასკადი, მუზეუმის მიმდებარე ტერიტორიაზე, იქ სადაც ისტორიული ვანი მდებარეობს, გათხრების შედეგად აღმოჩენილი ისტორიული ძეგლების დასაცავად, მოეწყო დამცავი გადახურვების სისტემა და სხვა.

იმ არქეოლოგიურ სიმდიდრეს, რომელიც გააჩნია ვანს, ნამდვილად სჭირდებოდა თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი სრულიად ახალი სამუზეუმო კომპლექსი. ამ კომპლექსს ბოლოს 35 წლის წინ ჩაუტარდა გარკვეული სახის სარეაბილიტაციო სამუშაოები. უკვე სრულიად ახალი სამუზეუმო კომპლექსი მზადაა უმასპინძლოს როგორც ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებს, ისე მის სტუმრებს. იმედია, პანდემიის შემდეგ ახალი ტურისტული დანიშნულება იქნება მაღალი ინტერესის სფერო, როგორც ქართველებისთვის, ისე იმ ტურისტებისთვის რომლებსაც აქვთ საქართველოში ჩამოსვლის სურვილი და როგორც კი ქვეყანა მზად იქნება ტურისტული სეზონის გახსნისთვის, ეროვნული მუზეუმის პერსონალიც ახალი ექსპოზიციით დახვდება მნახველს.








პროექტის ფარგლებში, კომპლექსი მოეწყო ავტოსადგომი, მცირე ბიბლიოთეკა, ლაბორატორია, კაფეტერია და ადმინისტრაციული ოფისი. შენობა სრულად არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის.

ვანის არქეოლოგიურ მუზეუმს რეაბილიტაცია 1985 წლის შემდეგ პირველად ჩაუტარდა. მუზეუმი საერთაშორისო სტანდარტებს გაუთანაბრდა და სრულადაა აღიჭურვილია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ინვენტარით.

მშენებლობის პარალელურად, არქეოლოგიურ მუზეუმამდე მისასვლელი გზის და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ღობეების რეაბილიტაციაც დაასრულა.

სარეაბილიტაციო-სარეკონსტრუქციო პროექტის განხორციელება ხელს შეუწყობს ვანის არქეოლოგიური სივრცის დაცვას, ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებას და ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებას.

*ძირითადი ინფორმაციის წყარო: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი*





# A NEW MUSEUM IN VANI



Municipal Development Fund financed the construction of Vani archaeological museum and rehabilitation of adjacent territories.

The author of the first project-concept of Vani Museum Complex is the German Architectural Bureau - EWA-ellis williams architects (Head - Dieter Pfannenstiel). The construction of the museum started with the project of this company, however, two years later, from the point of view of increasing the exhibition space, the architectural team of the National Museum of Georgia, headed by Zaza lashvili (chief project architect), redesigned the project design - The overall plan of the complex has significantly changed, a cascade of ramps has been added, To protect the historical monuments in the vicinity of the museum, a system of protective roofs and more was arranged.





Within the framework of the project, was constructed of a new four-storey museum is underway. parking space, small libraries, laboratory, cafeteria, and office rooms for administration are being was arranged as well.

Vani Archaeological Museum has not been rehabilitated since 1985.

The project meet international standards and is the most outstanding museum in the region.

The museum fully adapted for people with disabilities. Rehabilitation and reconstruction works support the protection of Vani archaeological space, development of tourism infrastructure and employment of local population.

***Source of basic information:***
***The Municipal Development Fund of Georgia***







# თბილისის სამხატვრო აკადემიის ისტორიული შენობის რეაბილიტაცია



რეაბილიტაციის პროექტის მთავარი არქიტექტორი: სამხატვრო აკადემიის არქიტექტურის ფაკულტეტის დეკანი, არქიტექტორი ნოდარ ამაშუკელი

პროექტზე მუშაობდნენ აკადემიის მაგისტრანტები: ნინო სიხარულიძე,
ბექა ტომაშევიჩი

რესტავრაცია: გიორგი კოტეტიშვილი

სარკეებიანი დარბაზის რესტავრაციას ხელმძღვანელობდა ნანა კუპრაშვილი

ფოტომასალა: ლიზა ოსეფაიშვილი-ნემცოვა



აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის შენობის რეაბილიტაცია 2015 წლის ოქტომბერში, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი ორგანიზაციების ავარიული შენობების მასშტაბური რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში დაიწყო.

პირველ ეტაპზე ჩატარდა მთლიანი შენობის საძირკველის და კონსტრუქციების გამაგრებითი სამუშაოები. მომდევნო ეტაპზე აღდგა შენობის სტრუქტურა და ისტორიულ დარბაზებს პირვანდელი სახე დაუბრუნდა. მაქსიმალურად იქნა შენარჩუნებული ისტორიული შენობის იერსახე. ურთულესი სამუშაოები ჩატარდა მდიდრულად შემკული ინტერიერის რესტავრაცია-კონსერვაციისას.

რესტავრაცია/კონსერვაციაზე მუშაობდნენ სამხატვრო აკადემიის რესტავრაცია, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტის პროფესორები, სტუდენტები და კურსდამთავრებულები. ამავე დროს, პროექტის შესაბამისად, შენობაში გამოიყო აუცილებელი სათავსები სასწავლო და შემოქმედებითი პროცესისთვის, სასწავლო რესურსებისა და სამუზეუმო ფონდისთვის.

დღესდღეობით სამხატვრო აკადემიაში ხუთი ფაკულტეტია: სახვითი ხელოვნების, არქიტექტურის, რესტავრაციის და ხელოვნების ისტორიისა და თეორიის, დიზაინის, მედიახელოვნების. თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში ყველა საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება ქართულ ენაზე.

100 წელი სრულდება სამხატვრო აკადემიის დაარსებიდან! დღეს, შენობა სრულიად ადაპტირებულია სასწავლო პროცესისთვის და პედაგოგებთან და სტუდენტებთან შეხვედრის მოლოდინშია.









**შენობის ისტორია:** თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია (თსსა) — კავკასიაში ერთ-ერთი უძველესი სახელოვნებო უნივერსიტეტის შენობა (სასახლე) XIX საუკუნის 1850-იანი წლების ბოლოს აშენდა არქიტექტორ გრიგორი ივანოვის პროექტით. 1869-1886 წლებში ამ სახლში „საარტისტო წრე“ იყო მოთავსებული. სამხატვრო აკადემია დაარსების დღიდან, 1922 წლიდან ამ შენობაში ფუნქციონირებს.

შენობა გეგმით ბერძნული დიდი ასო П-ს ფორმისაა. ნაგებობის ხაზგასმულად გრძივი ფასადი ფრონტალურად გასდევს გრიბოედოვის ქუჩას. მხატვრული გადაწყვეტით იგი ეკლექტურია და ეფუძნება კლასიცისტურ, ისლამურ და ბაროკოულ სტილიზაციას. ინტერიერში მუშარაბებიანი ღიობები, ბუხრების მოყვანილობა, აღმოსავლური მინიატურების გამოყენება კედლის მხატვრობაში და სხვ. აკადემიკოს ვახტანგ ბერიძის აზრით, ეს ყველაფერი თბილისში მომუშავე ირანელი ოსტატების ხელით უნდა იყოს შესრულებული.

1902 წელს შენობის მარცხენა ნაწილი (იგი ამ დროს უკვე ქობულაშვილებს ეკუთვნოდათ) გადაკეთდა არქიტექტორ სვიმონ კლდიაშვილის პროექტით, რომელმაც შეინარჩუნა ღიობთა ფორმა, ფასადი კი ბაროკო ელემენტებით მორთო (ნაძერწი ნიჟარები, გირლანდები, ნიღბები, ქალის თავის გამოსახულებები, მაღალი „კრონშტეინები“ და სხვ.).

არქიტექტურული მორთულობით ნაგებობა XIX ს-ის თბილისური სასახლეების ტრადიციას მისდევს. სამსართულიანი ფასადი ევროპულია, ინტერიერში კი გვიანირანული დეკორია გამოყენებული (სტუკოს ორნამენტები სარკეებიან ფონზე, სპარსულწარწერიანი მედალიონები, სტალაქტიტური ფრიზები). ეზოსკენ თბილისური, ხის გადახურული შეკიდული აივნებია მიმართული.










# REHABILITATION OF THE HISTORIC BUILDING OF THE TBILISI STATE ACADEMY OF ARTS

**Chief Architect of the Rehabilitation Project:**
**Dean of the Faculty of Architecture of the Academy of Arts**
**Architect Nodar Amashukeli**

**Nino Sikharulidze, Beka Tomashevich - The students of the academy worked on the project**

**Restoration: Giorgi Kotetishvili**

**Nana Kuprashvili - headed the restoration of the mirrored hall**

**Photo by: Liza Osepaishvili-Nemtsova**



The rehabilitation of the historic building of the Tbilisi State Academy of Arts began in October 2015 under a major rehabilitation project envisaging the renovation of those buildings administered by the Ministry of Culture and Sport of Georgia that are in a poor state of preservation.

The rehabilitation design aims at preserving the historic appearance of the building. It is intended to strengthen the foundation and reinforce the structural elements of the building, as well as restore and conserve the richly decorated interior. Along with that, the project entails creation of facilities for learning and creative activities, and depositories for academic resources and the museum.

The first phase of the work was involvestabilised and reinforcement measures, which followed by the was restorated of the structure and the historic halls of the building. At present, the building is used as an academic space.

The restoration and conservation work is done by professors, students and graduates of the Faculty of Art History and Theory.

The rehabilitation project was fully financed by the Ministry of Culture and Sport of Georgia. The work completed in this year.

100 years have passed since the establishment of the Art Academy!









# თანამედროვეობაში გაცოცხლებული კლასიკა



წარმოდგენილი ინდივიდუალური საცხოვრებელი კომპლექსი გარემოსთან ურთიერთკავშირშია. ტერიტორიაზე ნაგებობები კომპაქტურადაა განთავსებული – ერთმანეთთან მოხერხებულადაა დაკავშირებული. კომპლექსის მთავარი ვილის არქიტექტურა ორიგინალური კომპოზიციით გამოირჩევა და ერთ მთლიანობაში აღიქმება. სხვადასხვა გეომეტრიული, მობილური კლასიკური ფორმების შერწყმით, შენობის მოცულობა დინამიკურია. იგი თავიდანვე იპყრობს ყურადღებას თავისი სილუეტით. შემოქმედებითად გააზრებულ მოცულობაში არქიტექტურული დეტალების კოლორიტი ყოველ ვერტიკალურ თუ ჰორიზონტალურ ჭრილშია გადათამაშებული. მთლიანობაში კომპლექსი არქიტექტორის, ანეტა რევიაკინას მიერ შემუშავებული პროექტით განხორციელდა.

გამოყენებულ მასალათა ფაქტურების ზედაპირებზე სინათლის ათინათი დეტალებთან შერწყმით მოცულობისთვის დამახასიათებელ გრაფიკულ იდეას, უფრო მეტად აქცენტირებს. კლასიკური ხაზები და პარალელები, დინამიკური სიმრუდეები მაორიენტებელ მონახაზებსა და სილუეტებს ქმნიან. არქიტექტონიკული მელოდია, მისი რითმის ცვლითა და შესაბამისი ნოტების რეგისტრის გაძლიერებითაა აგებული.





თანამედროვეობაში გაცოცხლებული კლასიკური შენობა დახვეწილი ინტერიერით აღიჭურვა, რომელიც ავტორის იდეების და პროექტის ხორცშესხმას წარმოადგენს. სივრცე შესაბამისი ეპოქის სულითაა გაჟღენთილი. თანამედროვე და ტრადიციული  არქიტექტონიკის ყოველი ფრაგმენტი მნიშვნელოვან დატვირთვას იღებს. დიზაინი ინდივიდუალურია და აბსოლუტურად განსაზღვრული ფუნქცია გააჩნია. ელეგანტურობა ნატიფ ნიუანსებშია გამოვლენილი.

საერთო სტილისტურ გადაწყვეტასთან შესაბამისი ფურნიტურა, გემოვნებით შერჩეული აქსესუარები.... უზადო დიზაინი - საერთო იდეითა და თემით გამთლიანებულ, ჰარმონიულ ინტერიერულ სახეს ქმნის. მასში დეტალურადაა გათვლილი ყოველი ნიუანსი, წარსულის „ინდივიდუალურობა“ - ყოველივე კი, სივრცის შესაბამის კომფორტს, სასიამოვნო და საინტერესო გარემოს განაპირობებს. მნიშვნელოვანია ის, რომ, ამ შემოქმედებითად გააზრებულ სივრცეში, ყოველ ჭრილში გადათამაშებული დეტალების კოლორიტი მიკროსამყაროსთანაა სინქრონში.

ნინო ლაღიძე



# CLASSICS REVIVED IN MODERN

Project Author: Aneta Reviakina















Key attraction of the individual residential complex is its efficient and close link with the environment. Volumes presented in a given space are very compact with major architectonic object and ingeniously combined with each other.

Architecture of the main villa is highly original and integral. Combination of various classic geometric and mobile forms ensures the flexibility of construction volumes. It catches the eye by visual lightness and graphic precision of the silhouette. The project of residential complex has been designed by architect Aneta reviakina.

Constructional lightness of large masses is repeated by smaller elements of the building. Every component is carefully positioned in an appropriate place to stand out with sculptural efficiency.

The main design theme is further accentuated by the glints of sunlight and exquisitely matched details on facade surfaces. Classic lines, parallels and dynamic curves merge into speculative patterns and silhouettes. The architectonic melody with its changeable rhythm is based on the highlighting of particular notes.

The contemporary building boasts elegant interior, designed by architect Aneta revuakina. Each fragment of modern and classic traditional architectural decoration bears special significance. The design is highly individual and specifically functional, distanced from up-to-the-minute trendy fashion whims, but elegant in a quiet and refined manner. Professional approach shows everywhere - in efficiently organized space , skillfully matched colors and textures, carefully planned lighting, stylistic solution of interior spaces, relevant furniture, tasteful choice of accessories... Flawless design, integrated by a general theme, forms an original interior space, offering comfort and pleasure. It is noteworthy how the highlights, creatively distributed over the interior space, contribute to forming a meaningful thematic environment.

NINO LAGHIDZE







# კონსტრუქციული და დეკორატიული დეტალების ალიანსი





წარმოდგენილი ინტერიერის ავტორი არქიტექტორი ანდრეი ლობანოვი გახლავთ. მან, დამკვეთის სურვილების გათვალისწინებით, საკუთარ პროფესიონალიზმზე დაყრდნობით, მკაფიო გრაფიკით, ფურნიტურის ფორმა-მოცულობების ორიგინალური მონაცვლეობით და ფერითი კონტრასტებით, თანამედროვე ინტერიერი შექმნა. საცხოვრებელ სივრცეში წარმოქმნილ მოულოდნელი დიზაინერული შტრიხები მოსახერხებელ გეგმარებას ქმნიან. სტილისტურ მთლიანობაში, თითოეული სათავსოს ინდივიდუალურობა და ფუნქციურობა თავისებურად იკვეთება. კონსტრუქციული თუ დეკორატიული დეტალების ერთობლიობა ინტერიერს ვიზუალურად ზრდის, ხაზს უსვამს ფორმას, განსაზღვრავს მასში ფერის სიღრმეს და ინტენსივობას. საცხოვრებელში, ავტორმა, აუცილებელი სიმყუდროვე და კომფორტი შექმნა.

ნინო ლაღიძე





# ALLIANCE OF CONSTRUCTION AND DECORATIVE DETAILS

The author of this interior is designer Andrew Lobanov. Considering the taste and expectations of the residential apartment owners. He created a refined modern interior space with clear graphics, original furniture and skillful color contrasts. Unexpected design touches add lightness to the residential space and increase the efficiency of its planning. All elements of the space serve to highlight the feeling of freedom, visually increase the space, accentuate its form, define the depth and intensity of colors. Creating this interior, author endowed it with comfort and originality, which would not look natural in any other place. In other words, the design represents an incarnation of the inhabitants' taste and social position.

NINO LAGHIDZE







# FRENCH INTERIOR IN THE CENTER OF TBILISI

**In December last year, a hotel with a very bright and European-style sophisticated interior opened in the center of Tbilisi.**

**Today, our guest designer-decorator Elena Tiurina talks about design, inspiration, French interior traditions and simply, about the joys of life.**

*MAGAZINE* - Elena, the interior of the hotel turned out to be very bright, positive and eccentric, in European way, what was the inspiration?

*ELENA* - As usual, I was inspired by life itself and various events that happened ... The customer for design and decoration was my long-time client, who knew about my decor education in France. Therefore, he requested to create such an interior so that he would embellish the hotel and bring notes of the European spirit into this space. My internship with decorating



*Elena Tiurina - Designer-Decorator*





is also connected with France by many embodied works, so working on the interior with such request was very pleasant for me.

*MAGAZINE*: Great start! In such a case, we will ask you questions in an easy going French manner. So, let’s begin:

-In created by you design, what is your favourite place in this project?

*ELENA* - yes ... as they say, what took the greatest efforts, we love the most ... Therefore, perhaps my favorite place in the hotel is the lobby area with a glass panel decorated with gilded fabric. The thing is that I had to manually lay out this fabric with surrealistic folds, standing at a height of about two meters (and I am very afraid of heights) and the difficulty was that all this decor had to be pressed immediately against the wall with glass panels and strengthened... It was for real teamwork with the help of my amazing contractors. It was not easy, but we did it and we got such a golden oasis of luxury, against which the painting on the lamp in the form of a tree of life, the updated upholstery of poufs and antique armchairs with a mix of art deco and classic prints, especially played on the fabrics.

*MAGAZINE* - What fragment of the hotel was the most difficult for decoration and your design decision?

*ELENA* -Perhaps the most difficult was the selection of the color scheme for hotel rooms and all the halls specifically for each floor. because the color of the walls in the hotel, in my opinion, is very important. It should be neutral enough to interact positively with each visitor, but at the same time, the color of the walls carries the emotional component of the interior, so it should be interesting, attract attention and find an echo in feelings.

At this hotel I offered the customer a choice of three colors, we experimentally painted three rooms in each of them and, then, the final choice was taken. We have chosen one of my favorite colors, called durk egg, often used in English interiors.



.And for this color we have selected the upholstery for furniture in the rooms, the color and quality of the curtains .., table lamps and paintings so that each room can play its own melody

*MAGAZINE* - Indeed, the combination is very aristocratic and at the same time has contemporary vibes.

Let us proceed to the next question.

What was the most awaited element of your design that took place in the project of this hotel?

*ELENA*  - Yes .. (laughs) the embodiment of one of the pieces of furniture I designed, I had to wait as much as 14 years ... This is the reception desk made in the form of an infinity symbol. And. I designed it back in 2005, while developing a furniture line for several Italian and one of the Baltic furniture factories. This table was not included in mass production, due to many non-standard parts .. And, finally, in the summer of 2019, my idea was realized here in Tbilisi, and by the way it was perfectly made by Georgian specialists in production of non-standard furniture.

*MAGAZINE* - A table in the style of the symbol of infinity ... is it somehow connected with energy?

*ELENA* - Energy and its movement is very important, if not the most important components of my projects. It is very important that the interior is filled with positive and unified breath, so that the ob-









jects really combine with each other on the energy plane and can conduct dialogue, revitalizing and filling the interior with energy and beauty.

*MAGAZINE* - What was the most difficult element or interior area in this hotel for execution and design?

*ELENA* - This zone turned out to be the ceiling area of the entire first floor. Due to the technical specifics of the location of the ventilation and air conditioning systems, it turned out that in many places the ceiling had to be lowered, and the easiest solution would be to lower the entire ceiling evenly .. but I consciously didn't go for it because the proportions of the room would not be respected. Therefore, I had to fantasize right on the go and come up with fantastic solutions for the ceiling, repeating the ribbed decor of the lamps, that I selected earlier and take some risk with the placement of non-standard lamps, as if they were ready to fall, but on the other hand, both lightness and airiness and undisturbed volumes of space were conserved!



*MAGAZINE* - What is the most non-French element or zone in the interior of the hotel?

*ELENA* - Historically it happened that almost every old French interior had decor elements or paintings brought from England, I used the same technique in the hotel on Brosse street.

I have come up with such a waiting area in typical English style, where new visitors can await their check in. I placed here a sofa with a high back in a silk cage, portraits of hunting dogs and chandeliers echoing with decorative cages for, also decorative birds, made of Murano glass. It turned out in an English way: succinctly and cozy at the same time.

*MAGAZINE* - and, finally, question 6 to the hotel interior: What is the most frivolous element or area in your project?

*ELENA* - This is a hat-bar on the terrace of the last floor. When I designed this space, I wanted to emphasize the lightness and carefreeness of the upcoming vacation in this great place. So I came up with this hat like holiday mood. And to reinforce the idea: the lamps in the form of gilded hats and the color of the walls: a combination of lavender with the color of raspberries - all this emphasizes a joyful attitude to life!

*MAGAZINE* - Elena! Thank you for an interesting interview! and We are waiting for your new embodied projects in Tbilisi and abroad!

***Photo by: Rafael Arzumanov***









# სასტუმროს SEVENTEEN ROOMS - დაუვიწყარი გარემო თელავში



**შენობის პროექტის ავტორი: არჩილ კალატოზიშვილი**

**ინტერიერის დიზაინის ავტორი: მარიკა ქურთიშვილი**

**ინტერიერის დიზაინი შექმნილია, სპეციალურად, სასტუმროს დამფუძნებლის თამარ ჯავახიშვილისთვის**

ყოველდღიურობისგან თავის დასაღწევად საქართველოს რეგიონებში გასვლისა და დასვენების დღეების დაგეგმვისას აუცილებლად დაინტერესდით ერთი მყუდრო ადგილით თელავში . ეს არის სასტუმრო „სევენთიინ რუმსი“, სადაც არაჩვეულებრივ გარემოში და არაჩვეულებრივი ადამიანების გარემოცვაში აღმოჩნდებით და აქ, ამ სილამაზეში და კომფორტში გატარებული დღეები დაუვიწყარი გახდება თქვენთვის. რიცხვი 17 სასტუმროს დამფუძნებლების საყვარელი და იღბლიანი რიცხვია. ყველა მნიშვნელოვანი მოვლენა მათ









ცხოვრებაში ამ რიცხვს უკავშირდება და სწორედ აქედან წარმოიშვა სასტუმროს სახელი. სასტუმროც 2019 წლის 17 იანვარს გაიხსნა. შენობას გარს ერტყმის ტყე და მისი სილამაზე. იგი აშენებულია გორის ძირას - ეს ერთ-ერთი იმ გორათაგანია, რომელზეც თელავია განფენილი. სასტუმრო თორმეტი კომფორტული ნომრისგან შედგება. სასტუმროში არის ბარი, რესტორანი, ოცდაათანდე პერსონაზე გათვლილი საკონფერენციო დარბაზი. სასტუმროს მყუდრო ეზოში ღია აუზია განთავსებული.

სასტუმროს მშვენიერ და თვითმყოფად ინტერიერში მარიკა ქურთიშვილის ნოვატორული გადაწყვეტების ფონზე, თანამედროვე დიზაინის დამახასიათებელი ნიშნები იკვეთება. მას სივრცის სტრუქტურის ორგანიზაციის ლოკალურობა, კონსტრუქციული სქემების, მასალისა და მხატვრული ფორმის ტექნიკური მთლიანობა, მხატვრული გადაწყვეტის რაციონალურობა აძლიერებს. სასტუმროში კომფორტისა და სიმყუდროვის გამომხატველობითი საშუალებების ერთიანობა, ძირითადი იდეის დეტალების ვარირებითაა მიღწეული. სხვადასხვა მასალის ფაქტურათა შერწყმა, დიზაინის ელემენტები ერთ სტილშია გადაწყვეტილი. სივრცე ერთ მთლიანობად აღიქმება. თითოეულ მონაკვეთს დამოუკიდებელი მხატვრული მნიშვნელობა და განსაკუთრებული ემოციური განწყობა აქვს.











# HOTEL SEVENTEEN ROOMS - AN UNFORGETTABLE ENVIRONMENT IN TELAVI

**Author of the building project: Archil Kalatozishvili**
**Author of interior design: Marika Kurtishvili**
**The interior design was created especially for the hotel's founder Tamar Javakhishvili**

When planning your vacation in the regions of Georgia to escape from everyday life, be sure to visit one of the cozy places in Telavi. This is the hotel „Seventeen Rooms", where you will find yourself in an extraordinary environment and surrounded by extraordinary people. The days spent in this beauty and comfort will be unforgettable for you. Number 17 is a favorite and lucky number of Tamar Javakhishvili, the founder of the hotel. All the important events in his life are connected with this number and this is where the name of the hotel came from. The hotel also opened on January 17, 2019. The building is surrounded by forests and greenery. The hotel consists of twelve comfortable rooms. The hotel has a bar, a restaurant and a conference hall for thirty people. An open pool is located in the cozy yard of the hotel.

Marika Kurtishvili  have combined two seemingly controversial qualities – careful approach toward the interior  setting and strength of expression. While designing a project of a public space the architect feels like a stage director having to present to spectators a chain of harmony and contrast.

A range of innovative solutions of the interior, provides the designs with all the characteristic features of modern design, further highlighted by localized character of special structure, technical integrity of construction schemes, materials and artistic forms, rationality of creative solution. The unity of expressive forms is achieved due to the variety of details serving to achieve the main goal. Every space is integrated, while retaining every bit of its individuality. Each of them has independent artistic significance and special emotional coloring.









# შუშაბანდები ვაკეში



თბილისის ერთ-ერთ პრესტიჟულ უბანში - ლიზას საცხოვრებელი ინტერიერი, მისი დედის, დიზაინერ მაია წერეთლის პროექტით განხორციელდა. საერთო სივრცის გონივრულად დაცული ზონირებით საცხოვრებელ „მონაკვეთების“ ჰორიზონტალში მინიმუმამდეა დასული „გზების“ გადაკვეთა. შესვლისთანავე შეიგრძნობთ, რომ ინტერიერი ფერითი და სივრცითი გადაწყვეტით აქტიური და ლოკალურია, რაც მისი იერსახის განმსაზღვრელია. დიზაინში ავტორისათვის დამახასიათებელი მანერა, სტილი, თვალსაჩინო პირობითობა, მთლიანი სივრცის ორიგინალური კომპოზიცია, ნათლად გამოიკვეთება. მოცემული თემატიკა გულდასმითაა დამუშავებული და სტუდენტი ქალიშვილის ხასიათის და სურვილების მაქსიმარული გათვალისწინებით, ორიგინალური გადაწყვეტით გამოირჩევა. მასში წამყვანი ელემენტების გადანაწილება დიზაინერული ხერხებით ოსტატურადაა შესრულებული, რაც მეტად სასიამოვნო, კომფორტულ გარემოს ქმნის.

***ფოტო: რაფაელ არზუმანოვი***











# GLASS GALLERY IN VAKE

The interior of Lisa's apartment which is located in the prestigious district of Tbilisi, has been created by his mother - designer Maya Tsereteli. Reasonable zoning of the interior space allows for minimal overlapping between residential areas. Coloring and spatial solutions are active and localized, defining the image of the Lisa's space. The design efficiently reveals the author's manner and style as well as original composition of the space. The dominating element of interior design is the synchronous of local colors. Thorough development and original solution of the general theme, masterful distribution of design dominants and given the character and desires of the student daughter create a really pleasant, comfortable environment

Photo By: Rafael Arzumanov











# ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი ლისი ვერანდაზე



**ინტერიერის დიზაინის ავტორი: ილია ზაქარაია**

დიზაინერ ილია ზაქარაიას პროექტით შექმნილი ინტერიერის საცხოვრებელი გარემო, მისი შემადგენელი მობილური ელემენტების ურთიერთობით, ცოცხალი ორგანიზმია. გახსნილი სივრცე ერთიანად აღიქმება, თუმცა მასში ცალკეული ელემენტი ერთგვარად მნიშვნელოვანი და დასამახსოვრებელია. მათი ლავირება დახვეწილი ნიუანსებით წარმოებს. ინტერიერის თოთოეული ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური სიბრტყე თამამი, დიზაინერული კოლაჟია. მათი კომპოზიციური წყობა, ტონალობა, ფურნიტურასთან, აქსესუარებთან სინქრონი, სრულყოფილების შეგრძნებას ბადებს.

***ფოტო: ილია ზაქარაია***











# SINGLE FAMILY RESIDENTIAL IN LISI VERANDA

Author of interior design: Ilia Zakaraia

Residential space designed by designer Ilia Zakaraia represents an integral, live organism, consisting of harmoniously matched mobile units. The open space is perceived as a unity. Each horizontal or vertical surface of the interior is an unordinary decoration, a part of design collage. Their compositional structure, tonality, matching with furniture and accessories evoke the feeling of perfection.

***PHOTO BY: Ilia Zakaraia***















## ᲡᲐᲝᲤᲘᲡᲔ ᲡᲘᲕᲠᲪᲔ

**მდებარეობა: გაგარინის მოედანი, თბილისი**
**ავტორი: ლალიკო შაშიაშვილი**
**მხატვარი:  ლუკა ჯაფარიძე**
**ფოტო:  ანა ჯაბუა**

კომპანია „ალტერ სფეისის“ ინტერიერი დიზაინერ ლალიკო შაშიაშვილის პროექტით შესრულდა. ავტორის მიერ შექმნილი საზოგადოებრივი გარემო გამჭოლი ხედების ალიანსია. დახვეწილი დიზაინერული გადასვლებით, მასში პლასტიური ერთიანობაა მიღწეული, რომელიც მუდმივად იცვლება. მოქნილი ფორმები, ფერთა გამა და გამოყენებული მასალის სილამაზე სივრცეს განსაკუთრებულ ხიბლს მატებს. ცალკეული „მონაკვეთის“ კონფიგურაცია, პროპორციები და დიზაინი კომპოზიციური მთლიანობის გამსაზღვრელია. გამოყენებული გამომსახველობითი საშუალებების ფონზე ავტორი საინტერესოდ ორგანიზებულ კომპაქტურ კომპოზიციას ქმნის, რომელიც ორგინალური არქიტექტონიკური მიგნებებით და თვითმყოფადობით გამოირჩევა.









## OFFICE SPACE

**Location: Gagarin Square, Tbilisi**
**Author: Laliko Shashiashvili**
**Artist: Luka Japaridze**
**Photo By: Anna Jabua**

The Interior of Alter space Company was designed by Laliko Shashiashvili. This public space represents an alliance of transparent vistas. Refined design transitions provide an effect of flexible, constantly changing unity. Plastic forms, exquisite coloring and beautiful choice of textures endows the space with special charm. Configuration, proportions and design of various sections defines thematic integrity of the interior. The author has created a well-organized, compact composition, featuring unusual architectural solutions and original atmosphere.















# ᲒᲐᲛᲝᲛᲮᲐᲢᲕᲔᲚᲝᲑᲘᲗᲘ ᲐᲠᲥᲘᲢᲔᲥᲢᲝᲜᲘᲙᲘᲡ ᲙᲝᲜᲪᲔᲤᲪᲘᲐ

TWO DESIGNERS

**სასტუმრო სოლოლაკში**
**მდებარეობა: თბილისი, სოლოლაკი, ამაღლების ქ. #4**
**ავტორი: კომპანია Two Designers - დიზაინერები: ნატალია დავითაშვილი და თამარ უმანკოშვილი**

ორი დიზაინერი, ნატალია დავითაშვილი და თამარ უმანკოშვილი, რომელთა ურთიერთობა საქმით დაიწყო და მეგობრობით გაგრძელდა, ახლა უკვე ერთ კომპანიას წარმოადგენენ.



მათ ნამუშევრებში ყოველთვის იგრძნობა ინდივიდუალური ხასიათი და გემოვნება.

უკვე არაერთი საერთო პროექტის ავტორები არიან. ნამუშევრები მოიცავს როგორც საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტებს, აგრეთვე ინდივიდუალურ საცხოვრებელ სივრცეს. მიმდინარე დაკვეთები აქვთ, როგორც თბილისში აგრეთვე საქართველოს სხვადასხვა რეგიონში.

წარმოდგენილი ობიექტის ინტერიერული გარემოს თავისუფალი სივრცე ინდივიდუალურია და განსაზღვრული ფუნქცია გააჩნია. სისადავე, გეგმარების თავისუფლება და დინამიზმი ავტორთა პროფესიული ხელწერაა.. წინა პლანზე წამოწეული გამომხატველობითი არქიტექტონიკის კონცეფცია ესთეტიკურ ილუზიებთან ერთად უფრო ღრმა, დამოუკიდებელ აზრს და მნიშვნელობას მოიცავს.

სივრცს დამოუკიდებელი მოცულობები მათთვის დამახასიათებელი ფუნქციურობიდან გამომდინარე, ემოციურად სხვადასხვაგვარად აღიქმება, კონკრეტულ მიზანს ექვემდებარება, მაგრამ ამავე დროს ინტერიერის საერთო წყობასთანაა შეთავსებული. ავტორთა მუშაობის დახვეწილმა სტილმა და გემოვნებამ სრულიად განსაზღვრა ინტერიერის სტილისტური მთლიანობა.











# THE CONCEPT OF EXPRESSIVE ARCHITECTONIC

Location: Tbilisi, Sololaki,
Amagleba st. # 4
Author: Two Designers Company.
Designers: Natalia Davitashvili and
Tamar Umankoshvili

Interior of this hotel is a free-flowing space with distinct individuality and precisely defined function. Simplicity, uninhibited planning and dynamism – these are the key principles which authors used in its work. The conception of expressive architectonic image, forming the foreground of the design, is strengthened by aesthetic associations and deep connotations.

The interior consists of independent volumes bearing different emotional „colouring“ depending on their functional specifics but efficiently merging into the general structure of the space. The importance of aesthetically valuable, refined forms is accentuated by the quality of their implementation. Designers distinctive style and refin ed taste successfully defined individuality of the interior and integrated it into the ,,surrounding life“.










# დიმას თასი 2020



*საყოველთაო პანდემიის გამო, მოგვიანებით ვაშუქებთ ამ მეტად მნიშვნელოვან მოვლენას*

დიმა თოფურიძე (1947-2016) – საქართველოში სამთო-სათხილამურო სპორტის განვითარების ერთ-ერთი ფუძემდებელი და გუდაურის სამთო-სათხილამურო ცენტრად ჩამოყალიბების ერთ-ერთი ვეტერანი. თავად მოთხილამურე და უნიჭიერესი არქიტექტორი, ხელოვანი - მეგობრებთან და კოლეგებთან ერთად იყო 1984 წელს საქართველოში პირველი სამთო-სათხილამურო სკოლის დაარსების მონაწილე და მწვრთნელი. მოგვიანებით კი, 1997 წლიდან, სამთო-სათხილამურო სკოლა „დიმების“ დამფუძნებელი. იგი იყო პროფესიონალ და მოყვარულ მოთხილამურეთა არაერთი თაობის აღმზრდელი. მისი მოწაფეები დღესაც იხსენებენ „დიმა მასწის“ როლს მათ პიროვნულ ჩამოყალიბებაში. დიმა იყო გუდაურში გამართული მრავალი შეჯიბრისა თუ პროფესიული ტურნირის „სტარტიორი“.



სამთო-სათხილამურო ტურნირი მოყვარულ სპორტსმენთა შორის „დიმას თასი 2020“, რომელიც დიმა თოფურიძის ხსოვნას ეძღვნება, წელს, 22 თებერვალს, უკვე მესამედ ჩატარდა დაბა გუდაურში. ტურნირის ორგანიზატორია დიმას ქალიშვილი მოლი თოფურიძე. ინტერესი ტურნირის მიმართ ყოველ წელს იზრდება. წელს უკვე მესამედ შეიკრიბნენ დიმას მეგობრები და მოსწავლეები მისი მოღვაწეობის აღსანიშნად. შეჯიბრი კუდების სათხილამურო ტრასაზე მოეწყო. იგი ოთხ სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიაში ჩატარდა: ბიჭები - 50 წლამდე; გოგონები - 45 წლამდე; მამაკაცები - 50 წელს ზევით; ქალბატონები - 45 წელს ზევით და თითოეულ კატეგორიაში სამ-სამი გამარჯვებული იქნა გამოვლენილი. შეჯიბრში მონაწილეობა მიიღო ორასამდე მოყვარულმა მოთხილამურემ.

წელს, ტურნირის გამარჯვებული და დიმას გარდამავალი თასის მფლობელი ეკა ედიშერაშვილი გახდა.



















იმავე დღის საღამოს, მცირეხნიანი კონცერტი, ელენე კალანდაძის არაჩვეულებრივი შესრულებით და დაჯილდოება - ჩატარდა Cafe Gradus Gudauri-ში.

აღსანიშნავია, რომ ტურნირის მხარდამჭერების რიცხვი ყოველწელს იზრდება. წელს, „დიმას თასი 2020"-ის მრავალრიცხოვან, ძვირფას მხარდამჭერებს ჩვენ - საქართველოს უნივერსიტეტი და ჟურნალი „სტილი" შევუერთდით. ვუსურვებთ „დიმას თასი"-ის მესვეურებს კვლავ წარმატებებს!

STYLE



ტურნირი ჩატარდა მთის კურორტების განვითარების სააგენტოს ხელშეწყობით.

***ფოტო: დათო შალიკაშვილი***









# არქიტექტურული კერამიკა

*ქრისტინე ძაგნიძე - პროფესიით ვარ ინტერიერის დიზაინერი. კერამიკის შესწავლამ ჩემთვის უფრო საინტერესო გახადა ჩანაფიქრის განხორციელება. მასალასთან უშუალო შეხება საშუალებას იძლევა, ბევრ საკითხზე გაამახვილო ყურადღება, გაითვალისწინო მრავალი დეტალი. ჩემში ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევდა არქიტექტურასა და ინტერიერში ბუნებრივი განათების როლი, მუდმივი თამაში და ცვალებადობა შუქ-ჩრდილს შორის.*

*ბუნებრივი განათების, სხივის სტრუქტურული ფორმა, მისი წრიულ შრეებად განფენა გახდა ჩემი ლარნაკების შთაგონების წყარო. თავდაპირველი ჩანაფიქრით უნდა ყოფილიყო ადამიანის სიმაღლის ერთმანეთთან მჭიდროდ მდგომი მონუმენტური ფორმები, შესრულებული თეთრი თიხითა და ფერადი მინის დისკოებით. ჯერჯერობით მათი შესრულება მცირე ზომებში გახდა შესაძლებელი და სწორედ, რომ ტექნიკურად ვერ ვახერხებდი სიმაღლეში მათ განვითარებას, ამ იდეას შეემატა კიდევ ერთი გამოწვევა და ფორმის ნაწილებად დაშლის გადაწყვეტილება. მათი აწყობა კი დაემსგავსა ერთგვარ თამაშს ფორმასა და შუქ-ჩრდილს შორის. საბოლოოდ კი მიიღო ფუნქციურობაც და ჩამოყალიბდა „არქიტექტურული“ სახის კერამიკულ ლარნაკებად.*

დღეს, მსოფლიო თანამედროვე არქიტექტურის და ინტერიერის დიზაინის პრაქტიკაში ჯეროვანი ყურადღება ეთმობა არქიტექტურულ კერამიკას. და ამიტომ ქრისტინე ძაგნიძის შემოქმედება მნიშვნელოვანი განაცხადია თანამედროვე ქართული დიზაინის სფეროში.

ქრისტინე ძაგნიძის კერამიკული აქსესუარების დიზაინი ექსკლუზიურია და სტილურობით გამოირჩევა. არსებული დეტალებისგან შექმნილი ნაკეთობა უჩვეულო, საინტერესო და ფუნქციონალური ხდება ინტერიერში. ქრისტინეს კერამიკაში კიდევ ერთი, მისი ვიზუალური „მოძრაობის“ - ტრანსფორმიზმის იდეაა განხორციელებული, რასაც ხელოვანის მიერ შემუშევებული ეფექტებისა და მოულოდნელი დიზაინერული გადაწყვეტები ილუსტრირებს.

კერამიკულ ფორმათა გრაფიკულობის თანაარსებობა მშვიდ, დადებით განწყობას ქმნის და განსაკუთრებული ემოციური დატვირთვით აღიქმება.







# ARCHITECTURAL CERAMIC

Today, in the practice of modern world architecture and interior design, due attention is paid to architectural ceramic. Therefore, the work of Kristine Dzagnidze is an important application in the field of modern Georgian design.

Kristine Dzagnidze's accessories design is exclusive and distinguished with style. Another idea of Kristine, realized in the ceramic design, is its visual mobility, illustrated by „stunt effects“ and whole cascades of unexpected design solutions.

The Ceramic design are organically integrated at uniform space, enriching the site with special emotional charge and fully conforming lifestyle aesthetics.



# აღმოაჩინე შენი ქვეყნის მემკვიდრეობა









15 ივნისს საქართველოს ტრადიციული რეწვის ასოციაციის ორგანიზებით ტურისტული სექტორის, მედიისა და დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლებისთვის შიდა ქართლის სახელოსნოებში ჩატარდა ტური, რომელიც მიზნად ისახავდა ამ რეგიონში არსებული სახელოსნოების პოპულარიზაციას და მათი ტურისტული პოტენციალის ამაღლებას.

ტურის ფერგლებში ასოციაციის წარმომადგენლობა ესტუმრა: ოთარ ვეფხვაძის კერამიკულ სახელოსნო-გალერეას გარიყულაში; სახელოსნო „წნულს" კასპში; გიორგი ტატულაშვილის მოჭიქული კერამიკის სახელოსნო-მუზეუმს გორში.

ტური ჩატარდა აშშ საელჩოს დემოკრატიის კომისიის მიერ დაფინანსებული პროექტის „შიდა ქართლის რეგიონში ოსტატების ბიზნეს უნარების გაძლიერება" ფარგლებში.

ტურის დასკვნით ნაწილში გაიმართა USAID ზრდა პროექტის მიერ დაფინანსებული „შიდა ქართლის სახელოსნოების გზამკვლევის" პრეზენტაცია. გზამკვლევში შესულია ინფორმაცია 30 ადგილობრივი სახელოსნოს სერვისების შესახებ.

ტური ჩატარდა საქართველოს ტურიზმის ინდუსტრიის ალიანსის კამპანიის „აღმოაჩინე შენი ქვეყნის მემკვიდრეობა" ფარგლებში.









# GEORGIA REDISCOVERED

On June 15 with the aim to promote and enhance tourism potential of artisan workshops as destinations, Georgian Craft Association organized a tour to Shida Kartli Craft workshops, which included visits to: Otar Vepkhvadze's Ceramic Workshop in Garikula; Basket Weaving workshop " Tsnuli" in Kaspi; Gori Glazed Ceramics, Giorgi Tatulashvili's Museum-workshop.

The tour was held in the framework of US Embassy Tbilisi, Georgia Democracy Commission Small grant program funded project ENHANCE ARTISANS/CRAFTS MAKERS' BUSINESS SKILLS in Shida Kartli Region. As a part of the tour the Presentation of „Shida Kartli Crafts Workshop Guidebook", funded by USAID Zrda Activity in Georgia was held. The guidebook includes the information about 30 local artisan workshops and their visitor services.

The tour was held under the umbrella of Georgian Tourism Industry Alliance Campaign ,,Georgia Rediscovered", which aims to support domestic tourism.

# პრემიერა ოთხი აქტით

ამა წლის აპრილ-მაისში, „ერთი მხატვრის ნათელა იანქოშვილის მუზეუმში“, გაიხსნა 29 მხატვრის გამოფენა, სახელწოდებით, „პრემიერა ოთხი აქტით“. გამოფენა იყო დაყოფილი ოთხ ეტაპად. თითო ეტაპი მოიცავდა შვიდი მხატვრის სამ-სამ ნამუშევარს.

გამოფენა გახსნა მუზეუმის დირექტორმა, ქალბატონმა ნინო დვალიშვილმა. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო სხვადასხვა ჟანრის ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრები. ღონისძიება ფართოდ გააშუქა საქართველოს პირველმა არხმა. ამ გამოფენას ორგანიზება გაუწიეს მხატვრებმა: გია მარკოზაშვილმა, თემურ დვალიშვილმა და ნუგზარ მელაძემ.






გია მარკოზაშვილი
„ბაუმგარტენის ესთეტიკა“.
მუყაო, ზეთი. 90X100



ლაშა მარკოზაშვილი
„აბსტაქცია“.
ტილო, ზეთი. 80X66





ნინო დვალიშვილი
„აბსტრაქცია“. მუყაო, ზეთი. 50X60



ნუგზარ მელაძე
სერიიდან თბილისის ცის ქვეშ: მარჯანიშვილი“.
ტილო, ზეთი. 69X58



ზურაბ კახნიაშვილი
„გული, თვალი და ყური“. ტილო,ზეთი. 107X130



თეიმურაზ დვალიშვილი
„თიბათვე“. ტილო, ზეთი. 120X100




# გამოიცა არქიტექტორ გიგა ბათიაშვილის კრებული



მაგთიკომის ხელშეწყობით გამოიცა ღვაწლმოსილი ქართველი არქიტექტორის, გიგა ბათიაშვილის კრებული - არქიტექტურული ესკიზები, პროექტები, პუბლიცისტური წერილები, ფერწერა.

2019 წლის 20 ნოემბერს, მაგთი კლუბში წიგნის პრეზენტაცია გაიმართა.

გიგა ბათიაშვილი თბილისის საპატიო მოქალაქეა, საქართველოს დამსახურებული არქიტექტორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, არქიტექტურის საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი, აღმოსავლეთის ქვეყნების არქიტექტურის აკადემიის, საქართველოს საინჟინრო და სხვა აკადემიების აკადემიკოსი, სხვადასხვა პრემიების ლაურეატი, პროფესორი, დოქტორი...

„ჩემმა მეგობრებმა, თანამოაზრეებმა მირჩიეს, ჩემი შეხედულებები წერილობით და გრაფიკულად დამესტამბა, თუნდაც როგორც გაგრძელება წიგნისა - „ჩემი ცხოვრება თბილისის არქიტექტურაში“. გადავწყვიტე, ისევ არქიტექტურულ თემატიკას შევხებოდი. არქიტექტურა ხომ ბევრის მომცველია, მრავალასპექტიანია, ამიტომაც ჩემი ნაფიქრი არაერთთემიანია“ - გიგა ბათიაშვილი.

„გიგა ბათიაშვილის, როგორც არქიტექტორისა და ურბანისტის შემოქმედება ერთი რუბრიკის ქვეშ განიხილება, რუბრიკისა, რომელსაც „ქალაქი და სიყვარული“ შეიძლება ეწოდოს. ეს წიგნიც - აღიარებული ხუროთმოძღვრის „ცხოვრების წიგნიც“ - ამ სიყვარულის აღსარებაა“, - აცხადებს ხელოვნებათმცოდნე, დავით ანდრიაძე.

წიგნი ილუსტრირებულია სხვადასხვა წლებში გიგა ბათიაშვილის მიერ შექმნილი არქიტექტურული ესკიზებით, პროექტებით, შენობების ფოტოებითა და გრაფიკულ-ფერწერული ნახატებით.